მწვანე ალტერნატივას კომენტარები

საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტზე

„საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკა“

2013 წლის 31 ივლისი

1) დოკუმენტის შესავალში მოცემულ პირველ ორ აბზაცთან გვაქვს მხოლოდ გარკვეული რედაქციული შენიშვნები, რომლებიც, ჩვენის აზრით, უფრო გამართულად წარმოაჩენს საკითხს. ხაზი უნდა გაესვას საქართველოს -ეროვნული პოლიტიკის საჭიროებას - რომ ის იქნება მომავალი სატყეო რეფორმის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციური მოწყობის საფუძველი. წარმოდგენილ ტექსტში ეს ცალსახად არ იკითხება. გთავაზობთ შემდეგ რედაქციას:

„საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი განსაზრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ტყეების მიმართ - მათი ძირითადი ფუნქციონალური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით და წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. ეს პოლიტიკა ერთიანია საქართველოს ყველა ტყისთვის, მიუხედავად მათი საკუთრებისა და მართვის ფორმისა. ეროვნული სატყეო პოლიტიკა ემყარება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს. იგი საფუძვლად დაედება სატყეო სექტორის კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებას და არსებულის დახვეწას“.

2) არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზნის აღწერა შესავალში. ამგვარი თანამიმდევრობა არ გვხვდება არ ერთ სტრატეგიულ დოკუმენტში. ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ დოკუმენტში გაიზიარებულია ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზნის ჩვენს მიერ მოწოდებული ვერსია.

3) მისასალმებელია, რომ ეროვნული სატყეო პოლიტიის დოკუმენტში გამოყენებულია გარემოს დაცვისა და მდგრადი გამოყენების ძალზე თანამედროვე მიდგომა - ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკა (TEEB) და ასევე, ხაზგასმულია ტყეების ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელობა. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ სულ ახლახანს განახლდა ამ ტიპის შეფასების მომზადების სახელმძღვანელო. ამასთანავე, როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ქვეყანას მსოფლიოში, სადაც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ ჩატარდა ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური შეფასების წინასწარი კვლევა (TEEB Scoping Study). სამწუხაროდ, ქვეთავში „სატყეო სექტორის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები“ მოყვანილი განმარტებები არაზუსტია/არასწორია. ასევე სამწუხაროა, რომ ყოველგვარი დასაბუთებისა და ახსნის გარეშე, სამინისტრომ უარი თქვა მეცნიერულად გამართულ ფორმულირებაზე. დაწვრილებით აღარ მოვყვებით ამ შეცდომებისა და უზუსტობების განხილვას. მაგალითად, გაუგებარია, რა შუაშია საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების ღირებულება იმ ფაქტთან, რომ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია ცხოველთა 134 სახეობა და მათგან 43-ს მინიჭებული აქვს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობის ან გადაშენების კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობის კატეგორია. ამ რაოდენობაში შედიან ვეშაპისებრთა 2, წყლის ფრინველების 10, ხრტილოვანი თევზების 6, ძვლოვანი თევზების 10 სახეობა და 4 ქვესახეობა და კიდევ არაერთი ისეთი სახეობა,

რომელსაც არანაირი შეხება ტყის ეკოსისტემებთან არ აქვთ. საინტერესო იქნებოდა ამ საკითხზე თქვენი განმარტება

გთავაზობთ გაეცნოთ ეკოსისტემური სერვისების თანამედროვე განმარტებას და კლასიფიკაციას (http://www.teebweb.org/resources/ecosystem-services/). აქვე, კიდევ ერთხელ გთავაზოვთ ქვეთავის ისეთ რედაქციას, რომელიც, ჩვენის აზრით, გამართულია სამეცნიერო თვალსაზრისითაც, ასევე გასაგებია ფართო აუდიტორიისათვის და გათავისებულია საზოგადოების, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ (რაც ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დოკუმენტებისთვის) და ხაზს უსვამს სატყეო სექტორის მნიშვნელობას ადამიანების კეთილდღეობისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისათვის:

„**საქართველოს ტყეების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა**

საქართველოში ტყეებს უკავიათ დაახლოებით 2.7 მილიონი ჰექტარი, რაც ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს შეადგენს. საქართველოს ტყეები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი უდიდესი ნაწილი მთიან რელიეფზეა წარმოდგენილი. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ტყეებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ გლობალური და რეგიონული მასშტაბითაც. ისინი განაპირობებენ უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკოსისტემური სერვისების, ანუ ეკოსისტემების მიერ მოწოდებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელის უწყვეტობას, რაც უზრუნველყოფენ ეკონომიკის მრავალი დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას და ხელს უწყობს სიღარიბის აღმოფხვრას.

- საქართველოს ტყეები ამარაგებენ მოსახლეობასა და ეკონომიკას სამასალე და საშეშე მერქნით, მეორადი მერქნიანი სორტიმენტით რომელიც აუცილებელია სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისათვის (ჭიგო, სარი, წნელი და ა.შ.), არამერქმული პროდუქტებით (თხილი, კენკრა, ხილი, სოკო, ნანადირევი) და სამკურნალო მცენარეებით. საექსპორტოდ გროვდება კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana)* თესლი, თეთრყვავილასა (*Galanthus spp.*) და ყოჩივარდას (*Cyclamen vernum*) გორგლები და ძმერხლის *(Ruscus hypophyllum)* ტოტები. ტყის პროდუქტების გადამუშავებით იქმნება მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი ღირებულება და სამუშაო ადგილები, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლებსა და კეთილდღეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ტყეებზე დამოკიდებულია საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ტყეები ასრულებენ გადამწყვეტ როლს, არა მხოლოდ სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლის რესურსების ფორმირებაში. ბათუმი, რომლის მოსახლეობა დაახოებით 200000 ადამიანს შეადგენს და ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს სტუმრობს, სასმელ წყალს იღებს მტირალას ეროვნული პარკის ტყეებიდან. ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული ეკონომიკის ისეთი სექტორების წყლით მომამარაგება, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და ჰიდროენერგეტიკა.

- საქართველოს ტყეები სასიცოცხლოდ აუცილებელია როგორც მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდეობისათვის, ისე ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისათვის. ტყეები განსაზღვრავენ წყლის ხარისხს და ამცირებენ წყალმოვარდნებისა და წყალდიდობების რისკს ნალექების ზედაპირული

ჩამონადენის რეგულირების გზით. ისინი ხელს უშლიან ნიადაგის ეროზიის განვითარებას, ამცირებენ მეწყრებისა და ზვავების განვითარების რისკს და არბილებენ მათ მიერ გამოწვეულ ზემოქმედებას. ტყეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნახშირბადის გლობალურ ციკლში, ატმოსფეროდან ნახშირბადის შთანთქმისა და ტყის მასასა და ტყის ნიადაგებში მისი შეკავების გზით. საქართველოს ტყეების მარეგულირებელი სერვისები ძალზე მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკის (ვინაიდან ჯანსაღი ტყეები ამცირებენ მდინარეების ნატანს და აქედან გამომდინარე, იცავენ წყალსაცავების ამოვსებისაგან) და სოფლის მეურნეობის (ნიადაგის ეროზიისგან დაცვა, მავნებლების კონტროლი, სოფლის მეურნეობის კულტურების დამტვერვა და ა.შ.) განვითარებისათვის.

- საქართველოს ტყეები წარმოადგენს მრავალი სახეობის საბინადრო ადგილს და სამიგრაციო დერეფანს, ეხმარება მათ გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. საქართველო მდებარეობს დედამიწის ბიოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ რეგიონში. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) 35 "პრიორიტეტული ადგილიდან" ერთ-ერთი - კავკასიის რეგიონსაც მოიცავს. გარდა ამისა, Conservation International-ის მიერ განსაზღვრული "ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილიდან" (ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული და ამავდროულად სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიები) საქართველო შედის ორი „ცხელი წერტილის" შემადგენლობაში - კავკასიისა და ირან-ანატოლიის. საქართველოს მთებში შემორჩენილი მასივები დედამიწის ზომიერ სარტყელში შემორჩენილი უკანასკნელი ხელუხლებელი ტყეებია, რაც განაპირობებს მათ გლობალურ მნიშვნელობას.

- საქართველოს ტყეებს გააჩნიათ უდიდესი ესთეტიური და რეკრეაციული მნიშვნელობა; შეაქვთ წვლილი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის, ტურისტების რაოდენობისა და მათ მიერ გადახდილი თანხის ზრდაში. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 2005 წელს დაფიქსირებული 5,669-დან 2011 წლისათვის 303,686-მდე გაიზარდა (ან: 2005 წლიდან 2011 წლამდე 50-ჯერ გაიზარდა). ტყის ეკოსისტემებზეა დამოკიდებული არაერთი კურორტისა და ტურიზმის სხვადასხვა სახეობის არსებობა და განვითარება. ამასთანავე, საქართველოს ტყეებს უდიდესი სამეცნიერო, ისტორიული, სულიერი და კულტურული მნიშვნელობა გააჩნიათ, რითაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ერის გადაჩენისა და იდენტობის განსაზღვრაში, ფოლკლორის, ტრადიციებიული ცონდისა და ადათ-წესების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში".

4) მე-2 თავში „პრობლემები", წინა ვერსიასთან შედარებით პრაქტიკულად შეცლილია მხოლოდ სათაური („საფრთხეების" ნაცვლად). ეს თავი ასევე არასრულყოფილი და ტენდენციური დარჩა, როგორიც იყო თავდაპირველ ვარინტში (იხ. 2013 წლის 15 ივლისს მწვანე ალტერნატივას მიერ გამოგზავნილი გამოგზავნილი შენიშვნები). წარმოგიდგენთ ამ თავის შედეგ რედაქციას:

2. პრობლემები

ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ტყეების მართვა ხორციელდებოდა მდგრადი გამოყენების პრინციპების საწინააღმდეგოდ, ეკოსისტემური მიდრომის უგულებელყოფით. შედეგად, სახეზეა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს ტყეებს. საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პრობლემები მოკლედ შესაძლებელია ასე დახასიათდეს:

- სატყეო სექტორთან დაკაშირებული კანონმდებლობა არ შესაბამება ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებს, სხვადასხვა დროს მიღებული კანონები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან;
- სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობა გაუმართავია და ვერ უზრუნველყოფს ტყეების მდგრად მართვას, რაც დაკავშირებულია ისეთი საფრთხეების არსებობასთან, რომლებიც განაპირობებენ ტყეების განადგურებას/დეგრადაციას: ტყის მერქნული რესუსების ჭარბი და უკანონო მოპოვება, არამდგრადი ძოვება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ტყის ხანძრები, მოვლა-აღდგენისა და ტყის გაშენების არარსებობა, ინვაზიური სახეობები და სხვა;
- წლების განმავლობაში, კონკრეტული გავლენიანი ჯგუფების ინტერესების გამო, სატყეო სექტორის მართვა მიმდინარეობდა მდგრადი განვითარების უგულვებელყოფით. პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, ამან განაპირობა ინტერესთა კონფლიქტები და კორუფციის მაღალი დონის შენარჩუნება ამ სფეროში. ცალკეულმა პირებმა და ჯგუფებმა ბოროტად ისარგებლეს და პირადი მოგების მიზნით იყენებდნენ ტყის მერქნულ რესურსებს, რადგან მცირე იყო მათი პასუხისმგებლობაში მიცემის რისკი;
- ტყის ღირებულები არასათანადოდ იყო გათვალისწინებული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დღემდე არ არსებობს ისეთი მმართველობითი/პოლიტიკური ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ტყეების ღირებულების განსაზღვრა განვითარების პროგრამებისა და გადაწყვეტილებების მიღების ცალკეულ შემთხვევებისას. საქართველოში არ გამოიყენება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- ქვეყნის ტყის ფონდის უმეტეს ნაწილში ტყეთმოწყობა არ ჩატარებულა 10 წელზე მეტ ხნის განმავლობაში. სახელმწიფო არ ფლობს ინფორმაციას სატყეო ფონდის – ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ის მდგომარეობის შესახებ; დაუზუსტებლია ტყის ფონდის საზღვრები;
- ტყეების კატეგორიზაციის არსებული სისტემა გაუგებარია და შეუთავსებელია თანამედროვე ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის პრინციპებთან;
- მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია დაცული სტატუსი. ქვეყანაში დაცული ტერიტორიები არასაკმარისია, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება; დაცული ტერიტორიები არ ქმნიან ერთიან ქსელს;
- არ განხორციელებულია ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტყეების გადაცემა; ტყის ერთადერთ მესაკუთრედ დღემდე რჩება სახელმწიფო, რომელსაც ამ ეტაპზე არ გააჩნია ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსები სატყეო მეურნეობის წარმართვისათვის;
- ქვეყნის მიერ სატყეო სექტორის მდგრად მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულების დონე არადამაკმაყოფილებელია;
- სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა შეზღუდულია;
- სოფლად არსებული სიღარიბის მაღალი დონე, შეშისა და სატყეო მიწებზე ძოვების ხელმისაწვდომი ალტერნატივების არარსებობა, იძულებულს ხდის ადამიანებს უკანონოდ და არამდგრადი მეთოდებით მოიპოვონ ტყის რესურსები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ღარიბი მოსახლეობა უბრალო მუშახელად არის გამოყენებული ტყითსარგებლობასთან დაკავშრებული სხვადასხვა უკანონო ბიზნესის წარმოებისას. ტყის საუკეთესო ნაწილების გაცემას გრძელვადიანი ლიცენზიებით კიდევ უფრო გააძლიერა სოციალური პრესი ტყის დანარჩენ ფართობებზე. ამავდროულად, ტყის არასწორი მართვა განსაკუთრებით აზარალებს ღარიბ მოსახლეობას, ვინაიდან

ილახება რესურსებთან დაკავშირებული მათი სასიცოცხლო ინტერესები, ხოლო ტყის დეგრადაციის შედეგები - რესურსების შემცირება, გახშირებული სტიქიური მოვლენები - კიდევ უფრო ამძიმებს მათ სოციალურ მდგომარეობას.

ამრიგად, დღეისათვის დამკვიდრებული ტყითსარგებლობის პრაქტიკა ხელს უშლის სატყეო სექტორში დასაქმებულ მეწარმეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას; პრობლემებს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას; არ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შედეგები, რამაც შესაძლებელია ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია და საბოლოოდ ადამიანს მიერ პროვოცირებული ეკოლოგიური კატასტროფები გამოიწვიოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს სატყეო სექტორი საჭიროებს დაუყოვნებლივ რეფორმირებას, პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციურ დონეზე. წლების განმავლოვაშ ძირეული და თანამიმდევრული სატყეო რეფორმის განხორციელების უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო პოლიტიკური ნების არარსებობა, რის შედეგადაც ქვეყანას არ გააჩნდა ეროვნული სატყეო პოლიტიკა, სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“.

ჩვენი შემოთავაზებული რედაქციის არგაზიერების შემთხვევაში, გთხოვთ განგვიმარტოთ, რომელ დებულებას არ ეთანხმებით და რა მიზეზით.

5) წარმოდგენილი დოკუმენტის მე-3 თავი „ეროვნული სატყეო პოლიტიკის საფუძველი“, პრაქტიკულად იგივეა, რაც წინა პროექტის თავი „ეროვნული სატყეო პოლიტიკის ხედვა და მიზნები.“ ამასთან საკუთრივ „მიზანი“ გადატანილია შესავალში, ხოლო მისი შემდომი აბზაცი, რომელშიც ახსნილია ეს მიზანი, რატომღაც ამავე თავშია დატოვებული. გაუგებარი პრინციპით, ნახსენებია ტყეებთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი - „ევროპის ტყეები“ და გაკვრითაა ნახსენები მასთან დაკავშირებით მიმდინარე პოლიტიკური პროცესი. გთავაზობთ, მე-3 თავი ჩამოყალიბსეს შემდეგი სახით:

„3. ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზნები

საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის, ასევე ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის, სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობისა და ადამიანების კეთილდღეობისათვის, ეროვნული სატყეო პილიტიკის მიზანს წარმოადგენს:

ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს: ქვეყანაში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და ზრდას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.

ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ტყეების გამოყენება უნდა ხდებოდეს ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ეკოლოგიური სიჯანსაღის შენარჩუნებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას უფრო მდგრადი მეთოდებით ტყეებისა და ტყიანი ტერიტორიების მდგრადი მართვის საშუალებით. საქართველოს ტყეების მართვა უნდა

ხდებოდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, მათ შორის, ტყის მართვის მრავალმხრივი გეგმების მიხედვით, რომლებიც ემყარებიან ტყეების ღირებულებების შეფასებას, უზრუნველყოფენ პოტენციურად საზიანო ქმედებების თავიდან აცილებასა თუ შერბილებას და ადგილობრივი თემების მონაწილეობას ტყეთსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ტყეების კატეგორიზაცია ეკოსისტემური მიდგომით (დაცვის, შენარჩუნების, ეკოსისტემისთვის საჭირო სერვისების თუ სხვა მიზნების მიხედვით) განსაზღვრავს ტყის მართვის მიმართულებასა და ინტენსივობას. სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო რესურსებს იმისათვის, რომ ადამიანებს შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა ტყის მართვის ყველა ღონისძიებაში და შესაბამისი სარგებლის მიღება სათანადოდ რეგულირებულ და კონტროლის ქვეშ მყოფ სისტემებში“.

6) ქვეთავი 5.3.3. (სტრატეგიული მიზნები) მოყვანილი ფომულირებები მეტ სიფრთხილეს საჭიროებს. გთავაზობთ შემდეგ ფორმურილებებს:

- ეკოლოგიური დატვირთვის ნორმებისა და სოციალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ეროვნულ ეკონომიკაში ხე-ტყის დამზადებისა და გადამუშავებით მიღებული წილის გაზრდა სხვადასხვა გზით, მათ შორის: ...
- ეკოლოგიური დატვირთვის ნორმებისა და სოციალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ეროვნულ ეკონომიკაში ტყის არამერქნული პროდუქტებისა და ეკოსისტემური სერვისების გამოყენებით მიღებული წილის გაზრდა სხვადასხვა გზით, მათ შორის: .....

7) გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გთხოვთ განიხილოთ ჩვენს მიერ 2013 წლის 22 ივლისის საჯარო განხილვისას წარმოდგენილი შენიშვნები. განსაკუთრებით გადამუშავებას საჭიროებს თავი 8 - „საზოგადოების მონაწილეობა და ჩართულობა“. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმების ხარვეზები და დაბალი პოლიტიკური ნება კიდევ ერთხელ წარმოჩინდა აღნიშნული დოკუმენტის განხილვის პროცესში.